ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,მელექედურის მაჟორიტარი დეპუტატის,ლევან კილაძის ანგარიში

2015 წლის 2 აგვისტოდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,მელექედურის თემიდან.ვარ ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრი.ასევე აგრარულ საკითხთა,ბუნებრივი რესურსების და ქონების მართვის კომისიისა და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 21 სხდომაში,გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობდი ფრაქციისა და კომისიების სხდომებში.

2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ მელექედურისთვის გამოყოფილი იყო 31540 ლარი.აქედან 15000 ლარად შეძენილი იქნა ნაკვეთი სასაფლაოსთვის.12132 ლარი გარე განათებისთვის,4999 ლარი მოსაცდელის მოსაწყობად.

2015 წელში სამშენებლო მასალებით დავეხმარეთ 12 ოჯახს.

მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მხარდაჭერით 52 ადამიანს დავეხმარეთ ფულადი თანხით.

სოფელში ჯერჯერობით მოუგვარებელ პრობლემად რჩება გაზიფიცირება და სასმელი წყლის პრობლემა.